ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7100501

ნომერი: AR11043616

თარიღი : 21.06.2024

გაცემის თარიღი : 25.06.2024

გაცნობის თარიღი : 25.06.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N83;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექარ ჯობაძე პ/ნ 01030028485
- ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მ/რ, კვ.1, კორპ. 6, ბ.23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, რომელიც ეხება ქ თბილისი, სექტორი - ვაკე, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N83, ს/კ 01.14.11.022.011 არსებული შენობის სახურავზე შპს „მაგთიკომის“ ანტენების განთავსებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (არსებული ფოტო და საპროექტო ფოტომონტაჟი; მესაკუთრეთა თანხმობა, ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ჰიგიენური დასკვნა პროექტზე № 113 08.04.2024 წ., მინდობილობა, საბაზო რადიოსადგურის სანიტარულ-ჰიგიენური პროეტი, განთავსების არეალი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ თბილისი, სექტორი - ვაკე, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N83, ს/კ 01.14.11.022.011 არსებული შენობის სახურავზე შპს „მაგთიკომის“ ანტენების განთავსების შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ: უზრუნველყოფილ იქნას საპროექტო ანტენების კონსტრუქციის მდგრადობა. დაცული იქნას შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.დაცული იქნას ხაზობრივი ნაგებობების მიმართ შესაბამისი უსაფრთოების ნორმები.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.